



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**სამკურნალო საქმე  
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღი: 6 სექტემბერი, 2017

ანგარიშის ჩაბარების თარიღი:

თბილისი  
2017

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

|                                                                             |                                                                                            |
|-----------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მითითებით | შპს თბილისის ღია სასწავლო<br>უნივერსიტეტი<br><br>შეზღუდული პასუხისმგებლობის<br>საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი                                          | 202192643                                                                                  |
| დაწესებულების სახე                                                          | სასწავლო უნივერსიტეტი                                                                      |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|                                                            |                                  |
|------------------------------------------------------------|----------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის<br>დასახელება                    | სამკურნალო საქმე (ინგლისური ენა) |
| განათლების საფეხური                                        | ერთსაფეხურიანი                   |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | დიპლომირებული მედიკოსი<br>090101 |
| სწავლების ენა                                              | ინგლისური                        |
| კრედიტების რაოდენობა                                       | 360                              |
| პროგრამის სტატუსი<br>(ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)     | ახალი                            |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

|                                                                  |                                                                                      |
|------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ალექსანდარ იოვანოვიჩი, პრისტინას<br>უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი,<br>მიტროვიკა, სერბია |
|------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------|

|                                                            |                                                                                                                                        |
|------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| წევრი (სახელი, გვარი,<br>უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ზვონკო სოსიჩი, ზაგრების<br>უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა,<br>ანდია სტამპარის საზოგადოებრივი<br>ჯანმრთელობის სკოლა/ზაგრები,<br>ხორვატია |
| წევრი (სახელი, გვარი,<br>უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნატო ალავიძე, აკაკი წერეთლის<br>სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის<br>ფაკულტეტი, ქუთაისი, საქართველო                                   |
| წევრი (სახელი, გვარი,<br>უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ივანე აბიათური<br>ილიას სახელმწიფო<br>უნივერსიტეტი/სამედიცინო კვლევითი<br>ინსტიტუტი/ თბილისი, საქართველო                               |
| წევრი (სახელი, გვარი,<br>უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ირაკლი გაგუა<br>დამსაქმებელი/გაგუას კლინიკის<br>დირექტორი/ თბილისი, საქართველო                                                         |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (TOTU) მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციას. სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული ყველა აქტივობა მოსამზადებელია და ჯერ სწავლება არ განხორციელებულა. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიღებული იქნა სხვა ფუნქციონირებადი პროგრამებიდან, ასევე თანამშრომლებისგან, სტუდენტებისგან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან. როგორც პროგრამის სასწავლო გეგმიდან ჩანს ის უზრუნველყოფს მოცემული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სრულად შევსებული თვით შეფასების ანგარიშისა, გარკვეულ წილად ის მაინც არ იყო საკმაოდ ინფორმაციული. უნივერსიტეტში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა მოიპოვა ის ინფორმაცია რაც არ იყო შეტანილი თვით შეფასების ანგარიშში. შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა) და სასწავლო პერსონალმა უნდა გაიარონ ტრენინგები თვით შეფასების ანგარიშის უკეთ შევსების მიზნით.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შეფასების ჯგუფს უნივერსიტეტში ვიზიტისას დახვდათ ძალიან მეგობრული გარემო და სტუმართ მოყვარე და დამხმარე პერსონალი. ექსპერტები მოიხიბლნენ უზარმაზარი, ახალი და თანამედროვე შენობით, რომელიც უნივერსიტეტის საკუთრებაშია. საკმარისზე მეტი სივრცეა მრავალი სალექციო ოთახისათვის, ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკისათვის. თითოეული ოთახი ტექნიკურად ძალიან კარგად აღჭურვილია მაგრამ როგორც შევნიშნეთ მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისათვის სრულად მოსამზადებლად. აშკარაა რომ ძალიან ბევრი სამუშაოების ჩატარებაა საჭირო უნივერსიტეტის მომავალი სტუდენტების მიღებამდე.

#### ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

TOTU-ს მისიის თანახმად, „მედიცინის“ პროგრამის მიზანია ბუნებრივი, ასევე ქცევითი და სოციალური მეცნიერებების საბაზისო ცოდნის მიცემის უზრუნველყოფა. პროგრამის შედეგი იქნება ასევე კლინიკური (დიაგნოსტიკური და თერაპიული) უნარების შეძენა, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ ცოდნის მიღება და ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების შესწავლა. ზოგჯერ კურსის მიზნები და სწავლის შედეგები არ არის სრულყოფილი და არ შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს.

ECTS-ის აღწერილობა საგნების მიხედვით, კურსების შინაარსის ადექვატურია. არ გვხვდება კურსის შინაარსების დუბლირება და გადაფარვა. კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურია ფუნდამენტალურ საგნებთან დასაწყისში და კლინიკურ საგნებთან მომდევნო სემესტრებში. თავისუფალი, არჩევითი საგნების რაოდენობა არ იკვეთება. კლინიკური როტაცია შესაძლებელია სასწავლო გეგმის ფარგლებში, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს კლინიკური უნარების განვითარებას. თუმცა, შეფასების მეთოდი არ არის სპეციფიკური გარკვეულ კლინიკურ დისციპლინებში და შესაძლოა არ უზრუნველყოს კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

საერთო ჯამში სასწავლო პროგრამა არის სრულყოფილი და შეიცავს სამედიცინო ტრენინგისათვის საჭირო ყველა ელემენტს. პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ საკმარისი ცოდნა და უნარი სწავლა განაგრძონ შემდეგ საფეხურზე.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. შემუშავებული პროგრამის შეფასება მოხდა ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ. აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად იქნენ ჩართული სწავლის შედეგების შემუშავებაში, დამსაქმებლებთან ერთად.

უნივერსიტეტს გააჩნია რამდენიმე მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმები ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც პარტნიორ ინსტიტუტების სერვისის სთავაზობს სტუდენტებს, რათა მათ გაიარონ კლინიკური ან კვლევითი როტაციები.

მიღების კრიტერიუმები ადექვატური, გამჭვირვალე და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია. სასწავლო პროგრამის კურსები ასევე გულისხმობს სწავლების ტრადიციულ ფორმებს. პრაქტიკული სამუშაოები ჩატარდება სპეციალიზებულ საკლასო ოთახებში, უნივერსიტეტის სრულიად ახალ შენობაში და ჰოსპიტალის ტიპის დაწესებულებებში. მოქმედებს სამედიცინო სტუდენტების როტაციის მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები. სტუდენტთა ხელშეწყობის აქტივობები ადექვატური, დეტალური და მრავალფეროვანია. პედაგოგები სტუდენტებისთვის გამოყოფენ საკონსულტაციო საათებს.

სასწავლო პროგრამის პასუხისმგებელი პროფესორები ჩართული არის კვლევით პროექტებში, TOTU-ს გააჩნია კვლევითი ცენტრი, რომელიც აფინანსებს კვლევებს და ხელს უწყობს სტუდენტებს წარმოადგინონ თავიანთი შედეგები კონფერენციებზე. მიუხედავად ამისა სტუდენტების კვლევებში ჩართულობა საჭიროებს მეტად დახვეწას, რადგან მოწვეული ლექტორები სტუდენტებს არ რთავენ საკუთარ კვლევებში. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტი კარგად აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, კომპიუტერებითა და სხვა სასწავლო აპარატურით. შენობა ახალი და სთავაზობს საკმარისზე მეტ ადგილს სასწავლო პროგრამის ჩასატარებლად. პროგრამის გამართული ფუნქციონირებისათვის გახდა საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შესყიდვა, სტუდენტებს ასევე ექნებათ წვდომა თანამედროვე ლიტერატურაზე და სამეცნიერო-კვლევით პუბლიკაციებზე.

TOTU-ს პედაგოგები ზოგადად ძალიან მოტივირებულები არიან. მათი დატვირთვა ადექვატურია მაგრამ ზოგიერთი პედაგოგის შემთხვევაში ძალიან მძიმეა, რადგან ისინი სხვადასხვა კურსებს ასწავლიან. უნივერსიტეტმა მეტი თანამშრომელი უნდა დაიქირაოს. პედაგოგები საკუთარი სფეროს ექსპერტები არიან და გამოსცემენ პუბლიკაციებს სამეცნიერო სფეროში. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი აწყობს შეხვედრებს, ტრენინგებსა ასევე ვიზიტებს უცხოეთის უნივერსიტეტებში და აშ., თუმცა პერსონალისთვის სასარგებლო იქნებოდა ასევე უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგ კურსები, რომელიც შეეხება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდოლოგიას.

TOTU-ს სტრუქტურული ერთეულები ახდენენ პროგრამის იმპლემენტაციის მონიტორინგს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმები და სტრუქტურა არის კარგად დაგეგმილი და შეესაბამება დირექტივებსა და სტანდარტებს.

პროგრამა მდგრადია, რადგან ახალი, თანამედროვე, კარგად აღჭურვილი შენობა არის უნივერსიტეტის საკუთრება და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ფინანსური გეგმა მდგრადია.

#### ▪ რეკომენდაციები

- პროგრამის ამოცანები ეფუძნება მხოლოდ ცოდნის გადაცემას და ჩვენი რეკომენდაციაა რომ მოხდეს აღნიშნული რეკომენდაციების ხელახალი ფორმულირება
- უნდა მოხდეს პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების ხელახლა განსაზღვრა, რათა ისინი შესაბამისობაში იყოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან
- აუცილებელია პერსონალის დატრენინგება სწავლის შედეგების მნიშვნელობის, ფუნქციისა და მიღწევების შეფასების შესახებ
- რეკომენდირებულია კლინიკური/პრაქტიკული უნარების შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაცია (მაგ. OSCE)
- უნივერსიტეტმა უნდა დაიქირაოს უფრო მეტი აკადემიური პერსონალი რათა უზრუნველყოს პროგრამის წარმატებით განხორციელება.
- პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი სწავლის შედეგების შემუშავებისა და თვით-შეფასების ანგარიშის მომზადების კუთხით.
- პედაგოგებს სჭირდებათ ფორმალური განათლება სწავლების მეთოდოლოგიაში, რომელიც ორგანიზებული იქნება უნივერსიტეტის მიერ.

#### ▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს თავისუფალი არჩევითი კურსების ჩამონათვალი
- ხელსაყრელი იქნება თუ მომზადდება ყველა სტუდენტის და კურსდამთავრებულის მონაცემთა ბაზა, მათი კარიერული პროგრესის აღრიცხვის მიზნით
- უნივერსიტეტმა შეიძლება შემდგომში განავითაროს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები და გახადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, სტუდენტები და დამსაქმებლები უნდა იყვნენ წარმოდგენილი აღნიშნული მართვისა და პროგრამის განვითარების/შეფასების ორგანოებში.
- კარგი იქნება თუ სტუდენტებისათვის მოხდება ვებ-გვერდზე ისეთი ინფორმაციის განთავსება როგორიცაა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის ტესტების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები
- სტუდენტების ინდივიდუალური მუშაობა და ლექტორების მხრიდან მათი მენტორობა თუ წახალისება, კარგი იქნება
- პედაგოგებისთვის უნდა მოხდეს სტუდენტზე-ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიაში ტრენინგების ჩატარება
- სტუდენტების წინასწარი ორიენტაციის უზრუნველყოფის მიზნით უნდა მოხდეს არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა ეტაპობრივად, გრძელვადიან პერსპექტივაში

- სტუდენტებს შეუძლიათ თავისუფალი კურსები შეარჩიონ სხვა სასწავლო პროგრამებიდან, უნივერსიტეტის მესვეურებმა უნდა იფიქრონ ამ საკითხზე
- კურსის სილაბუსებში ასევე უნდა იყოს შეტანილი ინფორმაცია პედაგოგთან დაგეგმილ კონსულტაციებთან დაკავშირებით
- უნდა მოხდეს სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის უკეთ სტიმულირება. უნივერსიტეტმა უნდა მონახოს გზები რათა გაზარდოს მოწვეული პერსონალის ჩართვა კვლევით საქმიანობაში. სასურველია მცირე თეზისის/კვლევითი დოკუმენტის გაცნობის პრაქტიკის დანერგვა, სტუდენტების სამედიცინო კვლევების უნარების განვითარების მიზნით.
- ვიმედოვნებთ, რომ პროექტის დაწყებამდე შენობა სრულად მოეწყობა
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- სტუდენტების წარმომადგენელი ჩართულია საბჭოს საქმიანობაში
- სწავლის პროცესის მართვის დეპარტამენტი ყოველწლიურად აწყობს ღია კარის დღეებს
- თბილისის ღია უნივერსიტეტს გააჩნია კვლევითი ცენტრი, რომელშიც ჩართული არიან სტუდენტები
- საუკეთესო შენობა და აპარატურა
- SWOT ანალიზი
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ მიესადაგება

**პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან**

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამოცანასთან და ითვალისწინებს სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

TOTU-ს "მედიცინის" პროგრამის მისიის თანახმად, არსებობს შემდეგი მიზნები:

"მომზადოს მოქალაქე, რომელსაც აქვს განათლება, უნარ-ჩვევები, მაღალი სამოქალაქო თვითმყოფადობა, ეროვნული ცნობიერება და ლიბერალური ღირებულებები, რომელიც შეესაბამება გლობალური დასაქმების ბაზარზე არსებულ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებს "....იმ იდეით, რომ უზრუნველყოს ბუნებრივი ასევე ქცევითი და სოციალური მეცნიერების საბაზისო ცოდნის მიცემა. უნივერსიტეტი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და მიზნებს, შესაბამისად სწავლის შედეგი ასევე იქნება კლინიკური (დიაგნოსტიკური და თერაპიული) უნარ-ჩვევების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ცოდნისა და ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების სწავლების უზრუნველყოფა. ზოგჯერ კურსის მიზანი და სწავლის შედეგები არასრულია და არ შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კურსის პროგრამა
- თვით-შეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

პროგრამის ამოცანები ეფუძნება მხოლოდ ცოდნას და ჩვენი რეკომენდაციაა რომ მოხდეს აღნიშნული რეკომენდაციების ხელახალი ფორმულირება

უნდა მოხდეს პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების ხელახლა განსაზღვრა და გაწერა, რათა ისინი შესაბამისობაში იყოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან



|                                                                                                                                                                                                                       |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>აუცილებელია პერსონალის დატრენინგება სწავლის შედეგების მნიშვნელობის, ფუნქციისა და მიღწევების გაზომვის შესახებ</p>                                                                                                   |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არანაირი</p>                                                                                                                                                      |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>სტუდენტების წარმომადგენელი ჩართულია საბჭოში</p>                                                                                                          |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>არ მიესადაგება</p>                                                                                               |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შეესაბამება მოთხოვნებს</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p> |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამის მიერ დასახული მიზნების მიღწევასა და კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. თანმიმდევრობის ლოგიკური ფორმულირება და კომპეტენციების ევოლუცია განსაზღვრავს პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურას. პროგრამის სასწავლო გემის ფარგლებში სილაბუსისა და ECTS-ის განაწილების ცხრილის ანალიზის შემდეგ აღმოჩნდა რომ ECTS- ის რაოდენობა თანაბრად გადანაწილდება სემესტრსა და საგნებზე და კურსების შინაარსის ადეკვატურია. კურსებს შორის მნიშვნელოვანი შინაარსობრივი დუბლირება არ არსებობს.</p> <p>გამოყენებული სწავლების მეთოდები: დისკუსია / დებატები, სადემონსტრაციო მეთოდი, განმარტებითი მეთოდი, საკითხის ანალიზი, კოოპერატიული ტრენინგი და ა.შ. შეფასების მეთოდები არ არის სპეციფიკური კონკრეტულ კურსებში (განსაკუთრებით კლინიკურ</p> |

დისციპლინებში) და ვერ უზრუნველყოფს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. კლინიკური / პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების მეთოდები უფრო ეფექტურად უნდა იყოს დანერგილი.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამა
- მედიცინის პროგრამის გეგმა
- ღია სასწავლო უნივერსიტეტის სილაბუსები
- ღია სასწავლო უნივერსიტეტის არჩევითი საგნების სილაბუსები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტისას

#### რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია კლინიკური/პრაქტიკული უნარების შეფასების ინოვაციური მეთოდების იმპლემენტაცია (მაგ. OSCE)

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არანაირი

#### საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ მიესადაგება

#### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ მიესადაგება

#### შეფასება

- ☐ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☒ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

TOTU- ის მიერ მოწოდებული მასალებში მოცემულია ECTS- ის განაწილების სრულყოფილი სქემა. სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსების გადანაწილება თანმიმდევრული და ქრონოლოგიურია. კლინიკური როტაცია გათვალისწინებულია სასწავლო გეგმაში, რაც ხელს შეუწყობს კლინიკური უნარების განვითარებას. პროგრამის სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევას. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა 12 სემესტრზეა განაწილებული. პროგრამის სტრუქტურა ეფუძნება ECTS სისტემას და მოიცავს 360 კრედიტს, რომელთაგან 310 კრედიტი სავალდებულო კომპონენტებია, 10 კრედიტი - ქართული ენისთვის, 15 კრედიტი უფასო სასწავლო კურსისთვის, 10 სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის, 5 არჩევითი კურსებისთვის . ECTS განაწილება ადეკვატურია. კურსისა და ECTS- ის გადანაწილების საკითხი გადაწყდა სამედიცინო კოლეგიის სხდომაზე, პედაგოგებს აქვთ კურსების შეცვლის თავისუფლება.

ი სასწავლო პროგრამა ყოვლისმომცველია და მოიცავს მედიცინის სწავლებისათვის ყველა საჭირო ელემენტს. თუმცა, უფასო არჩევითი კურსების რაოდენობა უგულებელყოფილია. კერძოდ, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მხოლოდ ერთი, ოთხი არჩევითი კურსიდან: ფილოსოფიის შესავალი, ფსიქოლოგიის შესავალი, სოციოლოგიის შესავალი, პოლიტოლოგიის შესავალი, მაგრამ ორი მათგანი, ფსიქოლოგია და სოციოლოგია მედიცინის თითქმის ყველა ევროპულ სასწავლო გეგმაში სავალდებულოა. ჩვენი შემოთავაზება იქნება მოხდეს პროგრამის სავალდებულო ნაწილში ადგილის გამოყოფა და სპეციალიზებული კურსების შეთავაზება, როგორც არჩევით კურსები იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც სურთ კონკრეტული სფეროს შესახებ მეტის შესწავლა. ხოლო შემდეგ ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის კურსები შესაძლოა შეთავაზებული იყოს როგორც ფაკულტატური კურსები. ტერმინი "ფაკულტატური" გულისხმობს კურსებს, რომელიც სტუდენტმა შეიძლება აიღოს ან არა, და რომლისთვისაც ჩვეულებრივ კრედიტებს არ ანიჭებენ. ტერმინი "არჩევითი" განკუთვნილია კურსისთვის, რომელიც უნდა იყოს არჩეული სტუდენტის მიერ რამდენიმე სხვა კურსს შორის, კრედიტების გარკვეული რაოდენობის მოსაპოვებლად.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

სასწავლო გეგმა

კურსის სილაბუსები

### რეკომენდაციები:

|                                                                                                                                                                                                                       |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| არანაირი                                                                                                                                                                                                              |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს თავისუფალი არჩევითი კურსების ჩამონათვალი სასწავლო პროგრამების გარეთ</p>                                                              |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p><input type="radio"/> არ მიესადაგება</p>                                                                                                          |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p><input type="radio"/> არ მიესადაგება</p>                                                                         |
| <p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება მოთხოვნებს</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p> |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                              |
| <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p><input type="radio"/> ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ გააგრძელონ კვლევები რეზიდენტურის ან დოქტორანტურისთვის. სტუდენტებს შეუძლიათ პროფესიული განვითარება გააგრძელონ რეზიდენტურის ტრენინგ პროგრამაზე (ან საზღვარგარეთ ექვივალენტურ პროგრამაზე, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა) და ერთიანი სახელმწიფო სერტიფიცირების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მიიღონ დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის უფლება. პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ უმცროს ექიმად ან მედიცინის თეორიულ სფეროების კვლევებში ან ჯანდაცვის სხვა დარგებში, იმ პოზიციაზე, სადაც არ მიეცემათ დამოუკიდებლად მუშაობის უფლება. პროგრამების კურსდამთავრებულებს შეიძლება ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და უნარები, რათა გააგრძელონ სწავლა მომდევნო დონეზე.</p> <p><input type="radio"/> სხვა პროგრამების სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ამ უნივერსიტეტის</p> |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>კურსდამთავრებულთა დასაქმება წარმატებით ხორციელდება და სტუდენტთა უმრავლესობა სამუშაოს იწყებს მისსავე ქვეყანაში. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ბევრმა კურსდამთავრებულმა საზღვარგარეთ განაგრძო სწავლა / მუშაობა. მაგალითად. უნივერსიტეტს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა ჩინეთის უნივერსიტეტთან, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისწავლონ / იმუშაონ ჩინეთში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების და კურსდამთავრებულების კარიერულ დახმარებას და მჭიდროდ თანამშრომლობს კურსდამთავრებულებთან. აუცილებელია ყველა სტუდენტისა და კურსდამთავრებულის მონაცემთა ბაზის შექმნა და კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის აღრიცხვა. კარიერული განვითარების ცენტრი შედგება 5 წევრისგან. ისინი კონტაქტებს ამყარებენ დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის.</p> |
| <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვით შეფასების ანგარიში (გვ 14)</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>არანაირი</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>ხელსაყრელი იქნება თუ მომზადდება ყველა სტუდენტის და კურსდამთავრებულის სრულყოფილი მონაცემთა ბაზა, მათი კარიერული პროგრესის აღრიცხვის მიზნით</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
| <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არ მიესადაგება</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| <p><b>შეფასება</b></p> <p>X შეესაბამება მოთხოვნებს</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <p>1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |

## ხორციელდება

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

o სასწავლო პროგრამა შემუშავდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართვით. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა განიხილეს (კანონმდებლობისა და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების დაცვით) ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის წარმომადგენლებმა. აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული სწავლის შედეგების შემუშავებაში დამსაქმებელთა მონაწილეობით. უნივერსიტეტში რეგულარულად ხდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. ამ გზით ხდება ინფორმაციის შეგროვება პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე მოლოდინებისა და საჭიროებების შესახებ. ადგილზე ვიზიტისას ჩატარდა ინტერვიუ დამსაქმებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს საკუთარი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში. მიუხედავად ამისა, დამსაქმებლები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი მომავალში.

სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებასა და სტუდენტის შედეგების

შეფასების პროცესში, უნივერსიტეტის რეგლამენტის საფუძველზე.

o უნივერსიტეტს აქვს რამდენიმე მემორანდუმი, რომელიც ჩამოყალიბდა შესაბამის ინსტიტუტებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფას და სტუდენტებს სთავაზობს კლინიკურ ან კვლევით როტაციას. გარდა ამისა, დამსაქმებლებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს მემორანდუმს უნივერსიტეტთან, გამოთქვეს მზადყოფნა, გააგრძელონ სასწავლო სტაჟირებები.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვით შეფასების ანგარიში
- o ინტერვიუები დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან

### რეკომენდაციები:

არანაირი

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უნივერსიტეტმა შეიძლება შემდგომში განავითაროს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები და გაზადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი,

|                                                                                                                                                                          |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სტუდენტები და დამსაქმებლები წარმოდგენილი უნდა იყვნენ აღნიშნული მართვისა და პროგრამის განვითარების/შეფასების ორგანოებში.                                                  |
| <b>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არ მიესადაგება</li> </ul>                                             |
| <b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>                           |
| <b>შეფასება</b><br><br>X შეესაბამება მოთხოვნებს<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს<br><br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს |

### პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

| სტანდარტი                                                                           | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |                              | X                                       |                                     |

### 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

|                                                                                                                                                    |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|

## ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ო მიღების კრიტერიუმები ადეკვატური, გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომია. სტუდენტების მიღების ორი კრიტერიუმია: ქართველი სტუდენტებისთვის - ერთიანი ეროვნული გამოცდები. უცხოელი სტუდენტებისთვის - ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს B2 დონეს. გარდა ამისა, სტუდენტებს გამოცდა ჩაუტარდებათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია), რომელშიც სტუდენტებმა უნდა დაძლიონ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. უნივერსიტეტის ვებსაიტი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას პროგრამაში მიღების წინაპირობების, პროგრამის მიზნების, შეფასების მეთოდებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები უნივერსიტეტში საკონტაქტო პირებისგან ან უნივერსიტეტის კატალოგში და მიიღონ ასევე დამატებითი ინფორმაცია დასაქმებისა და განათლების გაგრძელების პერსპექტივების შესახებ. უნივერსიტეტი გეგმავს საქართველოდან 30, ზოლო საზღვარგარეთიდან 30 სტუდენტის მიღებას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვით შეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა

### რეკომენდაციები:

არანაირი

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კარგი იქნება თუ უცხოელი სტუდენტებისათვის მოხდება ვებ-გვერდზე ისეთი ინფორმაციის განთავსება როგორიცაა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის ტესტების ნიმუშები და შეფასების



|                                                                                                                                                                          |
